

დამტკიცებულია

საქართველოს რაგბის კავშირის

2021 წლის 30 ივლისის გამგეობის გადაწყვეტილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს მორაგბეთა სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ

2021-2022

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს 16 წლის და უფროსი ასაკის (ამ დებულებით დაშვებული გამონაკლისების გათვალისწინებით) მორაგბის სტატუსის, შეჯიბრებაში დაშვების, კლუბიდან (გუნდიდან, სპორტული სკოლიდან) კლუბში (გუნდში, სპორტულ სკოლაში) გადასვლისა და შესაძლო კომპენსაციის გამოთვლის წესს. აგრეთვე ამ საკითხებთან დაკავშირებული ან/და მისგან წარმოშობილი დავების გადაწყვეტის წესს.

2. მოცემული დებულება სავალდებულოა საქართველოს მოყვარულ და პროფესიონალ მორაგბეთა კლუბებისათვის, მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ასოციაციებისათვის, მორაგბეთათვის და მორაგბეთა აგენტებისათვის.

## **მუხლი 2. დებულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები**

1. „მსოფლიო რაგბი“ (WR) - რაგბის საერთაშორისო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ეროვნული რაგბის ფედერაციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ რაგბის განვითარებას თავიანთ ქვეყანაში.

2. “რაგბი ევროპა” (RE) - ევროპული რაგბის ასოციაციის კავშირი, რომელიც რსს (IBF)-ის მიერ აღიარებულია რაგბის კონფედერაციად.

3. სრკ - საქართველოს რაგბის კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოში რაგბის განვითარებას და წარმოადგენს „მსოფლიო რაგბი“ (WR) და “რაგბი ევროპა” (RE) მიერ ოფიციალურად აღიარებულ ერთადერთ ორგანიზაციას.

4. კომპენსაცია - ფულადი გადასახადი მორაგბის თამაშებში მონაწილეობის, მომზადებისა და განვითარებისათვის, რომელიც გადაიხდება მიმღები კლუბის მიერ წინამდებარე დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. პროფესიონალ მორაგბეთა კლუბი (გუნდი) - სრკ-ს წევრი რაგბის კლუბი (გუნდი), რომელიც სრკ-ის მიერ, „მსოფლიო რაგბი“ (WR) წესდების შესაბამისად, აღიარებულია პროფესიონალურ კლუბად (გუნდად).

6. მოყვარულ მორაგბეთა კლუბი (გუნდი) - სრკ-ს წევრი მორაგბეთა კლუბი, რომელიც სრკ-ს მიერ აღიარებულია მოყვარულ კლუბად (გუნდად).

7. მორაგბის შრომის ხელშეკრულების რეგისტრაცია - უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ მორაგბის შრომის ხელშეკრულების აღრიცხვა, რომლითაც დგინდება მორაგბესა და კლუბს შორის სამართლებრივი ურთიერთობა მისი სტატუსის შესაბამისად.

8. მორაგბის რეგისტრაცია - სრკ მიერ მორაგბის, როგორც პროფესიონალ ან მოყვარულ კლუბებს შორის შეჯიბრებაში მონაწილის აღრიცხვა მისი პასპორტის წარმოებით,

9. მორაგბის პასპორტი – წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს მორაგბის საქმიანობის შესახებ, რომელშიც აისახება სპორტული კარიერის მონაცემები ქრონოლოგიურად.

10. მორაგბის ტრანსფერი - მორაგბის ფაქტიური გადასვლა კლუბიდან (გუნდიდან) კლუბში (გუნდში) (სპორტული სკოლიდან კლუბში (გუნდში), სპორტული სკოლიდან სპორტულ სკოლაში და ა.შ.), რაც დაკავშირებულია მორაგბის რეგისტრაციასთან.

11. საერთაშორისო სატრანსფერო სერთიფიკატი – იმ ეროვნული ასოციაციის მიერ, რომელშიც დარეგისტრირებული იქნა მორაგბე, გაგზავნილი დოკუმენტი იმ კლუბის (გუნდის) ეროვნულ ასოციაციაში, რომელშიც სურს მას თამაში.

12. სატრანსფერო კონტრაქტი – რაგბის კლუბებს ან რაგბის კლუბს, სპორტულ სკოლასა და მორაგბეს შორის დადებული სამმხრივი ხელშეკრულება(ები), რომელიც განსაზღვრავს მორაგბის გადასვლის წესს, ვადებსა და პირობებს (მათ შორის, წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომპენსაციის გადახდას).

13. მორაგბის “იჯარის” პირობებით გადასვლის სატრანსფერო კონტრაქტი – ორ კლუბს (სპორტულ სკოლას) და მორაგბეს შორის დადებული სამმხრივი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს კლუბიდან (გუნდიდან, სპორტულ სკოლიდან) კლუბში (გუნდში, სპორტულ სკოლაში) მორაგბის გადასვლის წესს, ვადებსა და პირობებს.

14. მორაგბის “იჯარა” – რაგბის კლუბთან (სპორტულ სკოლასთან) ხელშეკრულების მქონე მორაგბის გადასვლა მეორე რაგბის კლუბში (სპორტულ სკოლაში), მის შემადგენლობაში შეჯიბრებებში დროებით ასპარეზობის მიზნით, შემდეგი პირობებით:

ა) მორაგბესა და რაგბის კლუბს შორის, რომლიდანაც ის გადადის, დადებული ხელშეკრულების არსებობა გადასვლის განხორციელების პერიოდში, ძალაში შესვლის თარიღის მითითებით, რაც მოწმობს მხარეთა სურვილს, მორაგბის სხვა კლუბში დროებით გამოსვლის ვადის გასვლის შემდეგ განახლდეს მათი შრომითი ურთიერთობა.

ბ) მორაგბის მომზადებისა და ოსტატობის სრულყოფის კომპენსაციის მიღების უფლების შენარჩუნება იმ კლუბისათვის (გუნდისათვის), რომელთანაც მორაგბეს გადასვლამდე ჰქონდა მოქმედი ხელშეკრულება.

15. სპორტული სეზონი - დროის შუალედი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელიც მოიცავს ოფიციალური მატჩებისათვის და შეჯიბრებებისათვის მორაგბის მომზადებისა და უშუალო საშეჯიბრო პერიოდებს.

16. საშეჯიბრო პერიოდი - დროის შუალედი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელიც იწყება კლუბებს (გუნდებს) შორის პირველი ოფიციალური მატჩის დღეს და მთავრდება კლუბებს (გუნდებს) შორის ბოლო ოფიციალური მატჩის დღეს. საშეჯიბრო პერიოდის ვადების განსაზღვრა ხდება ყოველწლიურად, ყველა რანგის შეჯიბრებებს შორის დროში წინმსწრები შეჯიბრების დებულების დამტკიცების შემდეგ.

17. სარეგისტრაციო სატრანსფერო პერიოდი – დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია განხორციელდეს მორაგბის გადასვლა კლუბიდან კლუბში მიმდინარე ან მომავალ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად.

18. მშობლიური კლუბი \_ კლუბი (გუნდი), რომელმაც სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში მორაგბეს საფუძველი ჩაუყარა მისი კარიერის განვითარებაში.

19. მორაგბის კლუბი \_ კლუბი (გუნდი), რომლის განაცხადშიც ირიცხება (რეგისტრირებულია) მორაგბე მოცემული პერიოდისათვის.

20. სატრანსფერო აგენტი \_ ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს მორაგბის (მორაგბეების) კლუბიდან კლუბში გადასვლაზე.

### **მუხლი 3. მორაგბის სტატუსი**

1. მორაგბე, რომელიც მონაწილეობს სრკ-ს ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში, აქვს მოყვარულის ან პროფესიონალის სტატუსი.
2. მოყვარული მორაგბე, რომელიც პირველად აფორმებს შრომით ხელშეკრულებას კლუბთან ავტომატურად ხდება პროფესიონალი მორაგბე.
3. პროფესიონალი თავისუფალი მორაგბის სტატუსის შეცვლა ხდება მორაგბის პირადი განცხადების საფუძველზე, რომ მას აღარ სურს პროფესიონალი მორაგბის სტატუსით თამაში, რომელიც უნდა დარეგისტრირდეს სრკ-ი.
4. იმ შემთხვევაში თუ პროფესიონალი მორაგბის სტატუსის შეცვლა ხდება შრომითი ხელშეკრულების (პროფესიონალური კონტრაქტი) მოქმედების პერიოდში მორაგბე ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეათანხმოს პირველ რიგში მშობლიურ კლუბთან, წინააღმდეგ შემთხვევაში სრკ-ი არ განიხილავს მორაგბის სტატუსის შეცვლის განაცხადს.
5. პროფესიონალი მორაგბის მოყვარულის სტატუსით შეცვლის შემთხვევაში მორაგბე მომდევნო 2 სეზონის განმავლობაში ვერ აღიდგენს პროფესიონალის სტატუსს (არ ექნება უფლება ითამაშოს როგორც პროფესიონალი მორაგბე).

### **მუხლი 4. პროფესიონალი მორაგბე და მისი შრომითი ურთიერთობა**

1. სრკ-ს ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში მონაწილე ნებისმიერი მორაგბე, რომელის შრომითი ანაზღაურება აღემატება 150 ლარს (ნეტო) ითვლება პროფესიონალად, თუ მან, წინამდებარე დებულებით დადგენილი პროცედურების შესაბამისად არ აღიდგინა მოყვარულის სტატუსი.

1-I ესპუართა ლიგაში მონაწილე კონტრაქტიანი მორაგბის შრომითი ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს 300 (სამასი) ლარს.

1-II „ა“ და „ბ“ ლიგის გუნდების მოთამაშეებისთვის აკრძალულია შრომითი ანაზღაურების მიცემა.

2. მორაგბესთან შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობით არაუმეტეს ხუთი სპორტული (საშეჯიბრო) სეზონის ვადით. 16 დან 24 წლამდე პროფესიონალ მორაგბესთან შრომითი ხელშეკრულება იდება არანაკლებ ერთი და არაუმეტეს ორი სპორტული (საშეჯიბრო) სეზონის ვადით.

2-1. მორაგბესთან დადებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვა უნდა ემთხვეოდეს საშეჯიბრო სეზონის ვადის ამოწურვას. ამ წესის დარღვევით დადებული ხელშეკრულების ვადა ჩაითვლება გასულად ხელშეკრულების ვადის ბოლო საშეჯიბრო სეზონის გასვლისთანავე და მორაგბე ჩაითვლება თავისუფალ აგენტად.

3. საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად, 18 წლამდე მორაგებებთან შრომის ხელშეკრულება წერილობით ფორმდება ყოველწლიური აუცილებელი სამედიცინო შემოწმების პირობით, არანაკლებ ერთი და არაუმეტეს ორი სპორტული სეზონის ვადით.

4. შრომის ხელშეკრულება არის შეთანხმება კლუბსა და პროფესიონალ მორაგბეს შორის, რომლითაც ერთი მხარე – კლუბის ადმინისტრაცია ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს მორაგბე შრომის სათანადო პირობებით, გადაუხადოს ხელფასი იმ ოდენობით, რაც შრომის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, ხოლო მეორეს მხრივ – მორაგბე ვალდებულებას იღებს პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები მისი კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, დაიცვას შრომის ხელშეკრულების პირობები და დაემორჩილოს კლუბის (გუნდის) შინაგანაწესსა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ პირობებს.

5. შრომის ხელშეკრულებისათვის აუცილებლად ითვლება მისი უსიტყვო და კანონიერი შესრულების მარეგლამენტირებული პირობები. მათ შორის:

ა) სამუშაოს ადგილი და დაკავებული თანამდებობა;

ბ) მხარეთა უფლებები და ვალდებულებები;

გ) მუშაობისა და დასვენების რეჟიმი;

დ) შრომის ანაზღაურების პირობები, მათ შორის ხელფასის რაოდენობა, მისი ანაზღაურების წესი, დამატებითი გასამრჯელო (არსებობის შემთხვევაში) და პრემიები;

ე) ხელშეკრულების მოქმედების ვადა, დაზღვევის სახე და პირობები;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობები,

6. შრომის ხელშეკრულება და მასში შესული ცვლილებები ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას სრკ-ში ხელშეკრულების დადებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მაგრამ არაუგვიანეს სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე.

7. სრკ-ის სადისციპლინო ორგანოების მიერ შრომის ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე დავების განხილვისას გამოყენებული იქნება ის შრომის ხელშეკრულება, რომელიც რეგისტრირებულია სრკ-ში. ორივე მხარის ხელმოწერილი, არავითარი სხვა დოკუმენტი, რომელიც არ არის რეგისტრირებული სრკ-ში, არ განიხილება.

8. შრომის ხელშეკრულება სრკ-ს სარეგისტრაციოდ წარედგინება ერთი ეგზემპლარად.

9. სრკ-ის უფლებამოსილი პირის მიერ რეგისტრირებული და ხელმოწერილი შრომის ხელშეკრულება უზრუნველყოფს კლუბს. ამასთან სრკ უფლებამოსილია შრომის ხელშეკრულების ასლი მოთხოვნის შესაბამისად გადასცეს „მსოფლიო რაგბი“ (WR) და რაგბი ევროპა (RE)-ს.

10. შრომის ხელშეკრულების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველად შეიძლება ჩაითვალოს პირობები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მორაგბის უფლებებს და გარანტიებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე მოთხოვნებს, რასაც უყენებს მხარეებს წინამდებარე დებულება და სრკ-ის მიერ დამტკიცებული შეჯიბრებების ჩატარების დებულება.

11. კლუბსა და მორაგბეს შორის გაფორმებული კონტრაქტი ვადამდე შეიძლება შეწყდეს საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
12. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა კლუბის ინიციატივით დაუშვებელია მორაგბის ტრავმის გამო, რომელიც მიღებულ იქნა არა ვარჯიშების, თამაშების ან/და მგზავრობის დროს, სანამ მორაგბე არ აღიდგენს შრომისუნარიანობას, ან არ დაუდგინდება ინვალიდის ჯგუფი, მაგრამ არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული.
13. შრომის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან ამის შესახებ წერილობით აცნობონ სრკ-ს.
14. იმ შემთხვევაში თუ კლუბის ადმინისტრაციამ თავისი ინიციატივით, მორაგბის არაბრალებლობის შემთხვევაში, ცალმხრივად შეწყვიტა შრომის ხელშეკრულება, კლუბი ვალდებულია გადაუხადოს მას კომპენსაცია, რომლის ოდენობა განისაზღვრება მორაგბის ხელფასის ჯამის მიხედვით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღიდან მისი მოქმედების ვადის გასვლამდე. მორაგბე უფლებამოსილია უარი განაცხადოს სრულად ან ნაწილობრივ კომპენსაციაზე საკუთარი შეხედულებისამებრ, რაც უნდა დაადასტუროს წერილობითი ფორმით.
15. შრომის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ან ვადამდელი გაწყვეტის შემთხვევაში, მორაგბე უფლებამოსილია გააფორმოს შრომის ხელშეკრულება სხვა კლუბთან.
16. პროფესიონალ მორაგბეს (მორაგბეებს), რომლებსაც ამოწურათ კონტრაქტის მოქმედების ვადა ავტომატურად ხდება პროფესიონალი თავისუფალი აგენტი (გარდა იმ შემთხვევისა თუ მორაგბემ არ შეიცვალა სტატუსი და გახდა მოყვარული.)
17. წინამდებარე (16 პუნქტი) პუნქტით გათვალისწინებული 16-28 წლამდე პროფესიონალი თავისუფალი აგენტის ახალ კლუბში გადასვლის შემთხვევაში ახალი კლუბი ვალდებულია კლუბს, საიდანაც გადადის მორაგბე გადაუხადოს საკომპენსაციო (გარდა ფრანშიზის მორაგბისა) თანხა 16-28 წლამდე მოყვარული მორაგბისათვის გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის ოდენობით.
- 17<sup>1</sup>. თუკი კლუბი აცხადებს უარს/არ ითხოვს კომპენსაციას მოთამაშის სხვა კლუბში გადასვლის გამო, მაშინ კლუბს, რომელშიც გადავა მოთამაშე არ წარმოეშობა კომპენსაციის გადახდის ვალდებულება.
- 17<sup>2</sup>. თუკი კლუბი არ აცხადებს უარს/ითხოვს კომპენსაციას მოთამაშის სხვა კლუბში გადასვლის გამო, კლუბი ვალდებულია კონკრეტულ მოთამაშესთან გააფორმოს კონტრაქტი, რომლის შესაბამისადაც ამ მოთამაშის ანაზღაურება არ უნდა იყოს მისი ბოლო ერთი წლის ანაზღაურების 80% - ზე ნაკლები, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც კლუბი და მოთამაშე შეთანხმდებიან სხვა პირობებზე.
- 17<sup>3</sup>. თუკი მოთამაშე ქვედა ლიგიდან გადადის ზედა ლიგაში, მაშინ ზედა ლიგის კლუბმა უნდა გადაუხადოს კომპენსაცია კლუბს, საიდანაც გადადის მოთამაშე, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც მიმდინარე კლუბი არ ითხოვს კომპენსაციას კონკრეტულ მოთამაშესთან მიმართებაში.
18. თუ კლუბსა და მორაგბეს შორის გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში (პროფესიონალური კონტრაქტი) არ არის განსაზღვრული კონტრაქტის გამოსყიდვის ღირებულება და მხარეები ვერ თანხმდებიან საკომპენსაციო თანხაზე, ასეთ შემთხვევაში სრკ-ი ადგენს კონტრაქტის გამოსყიდვის ღირებულებას მორაგბის ბოლო ერთი წლის შრომითი ანაზღაურების (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მიმდინარე წლის ხელფასის (1 სპორტული სეზონი)) 4-მაგ ოდენობას მაგრამ არაუმეტეს **40 000** ლარისა.

19. შრომითი ხელშეკრულების (პროფესიონალური კონტრაქტი) გამოსყიდვის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მორაგბის ბოლო ერთის წლის შრომითი ანაზღაურების (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მიმდინარე წლის ხელფასის (1 სპორტული სეზონი სეზონი)) **7-მაგ ოდენობას**.

20. შრომითი ხელშეკრულების (პროფესიონალური კონტრაქტი) გამოსყიდვის დროს კომპენსაციის გამოანგარიშებისას ხელფასად არ შეიძლება ჩაითვალოს დაზღვევის თანხა, სადაზღვეო პრემია, პრემია. ხელფასად ჩაითვლება მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება.

21. ამ დებულების მიზნებისათვის მორაგბის ასაკი განისაზღვრება სატრანსფერო პერიოდის დაწყების თარიღით, რაც გულისხმობს შემდეგს: თუკი რაიმე მოქმედების განხორციელებას ან განუხორციელებლობას ეს დებულება უკავშირებს მორაგბის მიერ გარკვეული ასაკის მიღწევას, ეს ასაკი სახეზე უნდა იყოს სატრანსფერო პერიოდის გახსნის დღისათვის.

### **მუხლი 5. მოყვარული მორაგბე და მისი ურთიერთობა კლუბთან (გუნდთან)**

1. მოყვარულად ითვლება მორაგბე, რომელიც მონაწილეობს სრკ-ს ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში ზეპირი ან/და წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე არასდროს მიუღია და არ იღებს ხელფასს, თამაშებში მონაწილეობასთან, მომზადებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული ფაქტიური ხარჯების გარდა.

2. 16-28 წლამდე მოყვარული მორაგბე, რომელიც ირიცხება კლუბში, ითვლება რომ სამოყვარულო კონტრაქტი აქვს დადებული კლუბთან და დამატებით არ საჭიროებს წერილობით ხელშეკრულებას.

3. თუ მოყვარული მორაგბე, რომელიც კლუბიდან გადავა სხვა კლუბში სათამაშოდ მაშინ მიმღებ კლუბს ეკისრება კომპენსაციის გადახდის ვალდებულება იმ კლუბის მიმართ, რომლიდანაც გადადის მორაგბე (გარდა იმ შემთხვევისა, თუ კლუბი და მორაგბე წინასწარ წერილობით არ შეთანხმდნენ ტრანსფერის დროს საკომპენსაციო თანხის არ გადახდაზე.) შემდეგი ოდენობით:

ა) 16-18 წლამდე, 2000 ლარი ყოველ ერთ სპორტულ სეზონზე;

ბ) 18-28 წლამდე, 3000 ლარი ყოველ ერთ სპორტულ სეზონზე;

4. მოყვარული მორაგბის კლუბიდან კლუბში გადასვლაზე (ტრანსფერი) მოლაპარაკებას აწარმოებენ მორაგბის სატრანსფერო აგენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში კლუბი დაჯარიმდება საკომპენსაციო თანხის სამმაგი ოდენობით.

### **მუხლი 6. მორაგბის რეგისტრაცია (ლიცენზირება)**

1. შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის მორაგბის რეგისტრაცია (ლიცენზირება) ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

2. ერთი სპორტული სეზონის განმავლობაში ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის მორაგბე არ შეიძლება დარეგისტრირდეს (იყოს განაცხადში) ერთზე მეტ კლუბში.

3. სრკ მიერ მოყვარული ან პროფესიონალი მორაგბის მოწმობა (სალიცენზიო ბარათი) გაიცემა რეგისტრაციის საფუძველზე.

4. მორაგბის რეგისტრაციისათვის (ლიცენზირებისათვის) მოსაკრებლის ოდენობას განსაზღვრავს სრკ.
5. იმ შემთხვევაში, რომედაც არ არის ტრანსფერი, მაგრამ მორაგბეს ესაჭიროება საერთაშორისო ლიცენზია საერთაშორისო ლიცენზიის საფასური შეადგენს 60 ლარს.

## **მუხლი 7. მორაგბის ტრანსფერი**

1. მორაგბის ინიციატივით ტრანსფერის განხორციელება ხდება მისი სატრანსფერო აგენტის მიერ კლუბის სახელზე წარდგენილი განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რომლის დროსაც მიმღები კლუბი ვალდებულია კონპენსაცია გადაუხადოს მორაგბის კლუბს.

2. ტრანსფერის შესახებ მორაგბის კლუბის პოზიცია წერილობით ეცნობება სრკ.

2-1. სატრანსფერო პერიოდის განმავლობაში „დიდი 10“-ის ლიგაში მონაწილე ერთ კონკრეტულ კლუბს ეკრძალება მეორე კონკრეტული კლუბიდან ორზე მეტი მოთამაშის გადაყვანა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც:

ა) კლუბი, რომლიდანაც მოთამაშეს სურს გადასვლა, განაცხადებს თანხმობას ამ პუნქტით დაწესებული ლიმიტის ზემოთ მოთამაშეთა გადასვლაზე;

ბ) ხდება მოთამაშეთა გაცვლა და/ან იჯარა;

გ) 28 წლის და ზემოთ ასაკის მოთამაშეს წინა საშეჯიბრო პერიოდის განმავლობაში არ უთამაშია 30%-ზე მეტი თამაშებისა, გარდა ისეთი ვითარებისა, როდესაც ადგილი ჰქონდა დიკვალიფიკაციისა და/ან ტრავმის შემთხვევებს“;

2-2. კლუბს (გუნდს) უფლება აქვთ საშეჯიბრო განაცხადში დაარეგისტრიროს არაუმეტეს 4 (ოთხი) ფრანშიზის მოთამაშე.

3. მორაგბის ტრანსფერი ხორციელდება ამ დებულებით განსაზღვრული წესით და შეჯიბრებების ჩატარების შესახებ (საშეჯიბრო) დებულებით განსაზღვრული პერიოდის ფარგლებში.

4. 24 წლამდე მორაგბეს საერთაშორისო ტრანსფერის განხორციელებაზე სრკ გასცემს თანხმობას, მხოლოდ ამ დებულებით დადგენილი წესების დაცვის შემთხვევაში.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის შეზღუდვა არ ვრცელდება იმ ქვეყნის კლუბებზე, რომელშიც მორაგბის საერთაშორისო ტრანსფერი დაშვებული იქნება სრკ-ის მიერ.

6. საერთაშორისო ტრანსფერისას, სრკ არ ჩაერევა კლუბებსა და მორაგბეს შორის მოლაპარაკებებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მორაგბე ეროვნული ნაკრების კანდიდატია.

7. თუ მორაგბეს კლუბთან გაფორმებული აქვს შრომითი ან წერილობითი ხელშეკრულება, საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე სხვა კლუბში გადასვლისას მორაგბის კლუბი სატრანსფერო აგენტის მეშვეობით აწარმოებს მოლაპარაკებას ტრანსფერის პირობებსა და სატრანსფერო თანხის შესახებ.

7<sup>1</sup>. თუკი მორაგბე ირიცხება კლუბის საერთო განაცხადში და მიუხედავად ამისა მას არ მიუღია მონაწილეობა არცერთ თამაშში და/ან არ ყოფილა შეყვანილი სათამაშო განაცხადში, რომელიც გაიმართა



სეზონის დასაწყისიდან ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე, ამასთან აღნიშნული გარემოება არ დამდგარა მორაგბის ბრალით და/ან ინიციატივით, ასეთ მორაგბეს აქვს უფლება გამშვები და მიმღები კლუბების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, გადავიდეს სხვა კლუბში ზამთრის სატრანსფერო პერიოდის განმავლობაში.

8. მორაგბის შიდა ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში მიმღები კლუბი (გუნდი) ან/და მორაგბე ვალდებულია გადაიხადოს სრკ-ში მომსახურების საფასური 60 ლარის ოდენობით, ხოლო საერთაშორისო ტრანსფერის განხორციელებისას – **700 ევროს ოდენობით**, თუკი მორაგბე გადადის თაიერ 1(Tier1) დონის ქვეყანაში, ხოლო **1500 ევროს ოდენობით**, თუკი მორაგბე გადადის თაიერ 2 (Tier2) ან თაიერ 3 (Tier3) დონის ქვეყანაში. საერთაშორისო ტრანსფერის დროს ამ პუნქტში დადგენილი საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან მორაგბეები, რომლებიც გადადიან უცხო ქვეყნების სამოყვარულო კლუბებში/გუნდებში და/ან არიან უცხო ქვეყნების სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეები/სტუდენტები და წარმოადგენენ შესაბამის ცნობას სასწავლო დაწესებულებებიდან. (დაემატა 04.04.2021) (აღნიშნული პუნქტის მოქმედება შეჩერებულია 2021 წლის 2 ივნისის გამგეობის გადაწყვეტილებით)

9. საშეჯიბრო სეზონის შიდა სატრანსფერო პერიოდი განისაზღვრება:

a) **“didi-10”-is**, dubliorTa, pirveli, regionaluri, WabukTa “a” da “b” ligis gundebisTvis ganisazRvros 1 etapad: zafxulis transferi;

wlis sxva periodSi transferebi da sxva gadaadgileba klubSi an klubebS Soris dauSvebelia.

**Ggamonaklisi:** “a” da “b” ligis gundis moragbeebi, romlebsac saswavleblis an sacxovrebeli adgilis Secvlis gamo surT klubidan klubSi gadasvla maT eZlevaT ufleba sezonis nebismier dros gadavidnen klubidan klubSi. (aRniSnuli gadasvla dadasturebuli unda iyos Sesabamisi dokumentaciiT).

სრკ-ს გამგეობის დასაბუთებული გადაწყვეტილებით შესაძლებელია ეროვნული ნაკრების მორაგბის ტრანსფერი ამ დებულებით დადგენილი სატრანსფერო პერიოდის გასვლის შემდეგაც, თუკი სატრანსფერო პერიოდის გაშვება არ მომხდარა მოთამაშისა და საქართველოს კლუბის ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) ქმედების შედეგად, ამასთან თუკი გამგეობა მიიჩნევს, რომ ასეთი გადაწყვეტილება ემსახურება საქართველოში რაგბის განვითარებას, თავად მორაგბის განვითარებას და საქართველოს ეროვნული ნაკრების განვითარებას.

10. saerTaSoriso satransfero periodi (mxolod Semodineba) kacTa gundebisTvis ganisazRvros II etapad: zamTris da zafxulis transferi.

a) zamTris transferi gaixsneba saqarTvelos ragbis kavSiris egidiT organizebuli **“didi-10”-is** ligis, kalendaruli wris damTavrebisTanave da daixureba momdevno wlis **“didi-10”-is** Cempionatis gaxsnamde erTi kviriT adre.

klubebi (gundebi) I kalendaruli wris gadatanil TamaSebs iTamaSeben I wris ganacxadiT.

b) zafxulis transferi daemTxveva **“didi-10”-is**, dubliorTa, pirveli, regionaluri WabukTa “a” da “b” ligis satransfero periods.

## **მუხლი 8. სატრანსფერო კონტრაქტი**

1. მორაგბის ერთი კლუბიდან მეორე კლუბში გადასვლისას ფორმდება შიდა ან საერთაშორისო სატრანსფერო კონტრაქტი.

2. შიდა სატრანსფერო კონტრაქტი ფორმდება საქართველოს კლუბებს და მორაგბეს შორის მორაგბის ტრანსფერის შემთხვევაში, ხოლო საერთაშორისო სატრანსფერო კონტრაქტი ფორმდება საქართველოს კლუბს, მორაგბეს და სხვა ქვეყნის კლუბს შორის მორაგბის ტრანსფერის შემთხვევაში.

**2.1 იმისათვის, რომ შიდა სატრანსფერო კონტრაქტი ჩაითვალოს ნამდვილად, იგი დადებული/გაფორმებული უნდა იყოს მხოლოდ სატრანსფერო ფანჯრის განმავლობაში.**

3. სატრანსფერო კონტრაქტი, აგრეთვე ყველა დანართი, ცვლილება და დამატება, უნდა იყოს შედგენილი წერილობითი ფორმით, არანაკლებ იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მხარეც მონაწილეობს კონტრაქტში და ხელმოწერილი კლუბების ხელმძღვანელების მიერ.

4 შიდა სატრანსფერო კონტრაქტით ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. საერთაშორისო სატრანსფერო კონტრაქტში გადახდა შეიძლება გათვალისწინებული იქნას ნებისმიერ ვალუტაში.

5. სატრანსფერო კონტრაქტი და დამატებები ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას სრკ-ში, რომლის დროსაც წარდგენილ უნდა იქნას:

ა) სატრანსფერო კონტრაქტის არანაკლებ 2 ორიგინალი, ასევე ცვლილებები და დამატებები, რომლებიც შემოწმების შემდგომ უბრუნდება მხარეებს;

5.1. სატრანსფერო კონტრაქტის, ასევე ცვლილებები და დამატებები, რომელიც რეგისტრირებულია სრკ-ში ნებისმიერ დროს შეიძლება წარდგენილ იქნას „მსოფლიო რაგბი“ (WR) და „რაგბი ევროპა“ (RE) – ში მათი მოთხოვნის საფუძველზე.

6. სატრანსფერო კონტრაქტისა და დამატებების რეგისტრაციაზე უარის საფუძველად შეიძლება ჩაითვალოს წინამდებარე დებულების შესაბამისი მოთხოვნების შეუსრულებლობა. ამასთან სატრანსფერო კონტრაქტი და დამატებები, რომელიც არ არის რეგისტრირებული დადგენილი წესით, დავების განხილვისას არ გამოიყენება.

7. მორაგბის ყოფილი კლუბი, თუ მას აქვს კომპენსაციის მიღების უფლება, ვალდებულია მიმართვის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, წინამდებარე დებულების წესების შესაბამისად, გააფორმოს სატრანსფერო კონტრაქტი.

8. იმ შემთხვევაში, თუ მორაგბის ყოფილი კლუბი, რომელსაც აქვს კომპენსაციის მიღების უფლება და უარზეა წინამდებარე დებულების მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს სატრანსფერო კონტრაქტი, მაშინ კომპენსაციის გამცემი კლუბისაგან იგი უფლებამოსილია მიიღოს კომპენსაცია წინამდებარე დებულებით დადგენილი ოდენობით სამი თვის განმავლობაში მოთხოვნის წარმოშობიდან.

9. კლუბი, რომელსაც სურვილი აქვს გააფორმოს ხელშეკრულება მორაგბესთან, რომელიც ამ დროს თავის კლუბთან დაკავშირებულია წერილობითი ხელშეკრულებით, ვალდებულია მოლაპარაკებების

დაწყებამდე თავისი სურვილის შესახებ ერთდროულად წერილობით აცნობოს მორაგბის (მშობლიურ) კლუბს და მორაგბეს.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესის დარღვევით გაფორმებული ხელშეკრულება ბათილია.

## **მუხლი 9. საერთაშორისო ტრანსფერი**

1. მორაგბის კლუბიდან (გუნდიდან) ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ან ვადის გასვლის შემდეგ საერთაშორისო ტრანსფერის განხორციელებისას მორაგბის ყოფილი კლუბი ან სრკ (თუ კლუბი, რომელმაც მოამზადა მორაგბე არ განაცხადებს თავის უფლებას კომპენსაციაზე) უფლებამოსილია მიიღოს კომპენსაცია (გარდა ფრანშიზის მორაგბისა) შიდა ტრანსფერებისათვის დადგენილი ციფრის ევროში გამოხატული ოდენობით კონტრაქტის გამოსყიდვის ლიმიტის გარეშე:
  - ა) 16-18 წლამდე, **2000 ევრო** ყოველ ერთ სპორტულ სეზონზე;
  - ბ) 18-28 წლამდე, **3000 ევრო** ყოველ ერთ სპორტულ სეზონზე;
2. იმ შემთხვევაში თუ საერთაშორისო ტრანსფერის განხორციელებისას მორაგბის ყოფილი კლუბი მოითხოვს კომპენსაციას მე-9 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით, სრკ უფლებამოსილია საკომპენსაციო თანხიდან მიიღოს 10 %-ტი, ხოლო 90 %-ტი ჩაირიცხება კლუბის ანგარიშზე.
3. მოყვარული ან პროფესიონალი მორაგბე რომელმაც მიიღო უფლება ითამაშოს კლუბში, არ შეიძლება დარეგისტრირდეს სხვა ეროვნული ფედერაციის კლუბში, საერთაშორისო სატრანსფერო სერთიფიკატის მიღების გარეშე.
4. სრკ უფლებამოსილია გადაამოწმოს საერთაშორისო სატრანსფერო სერთიფიკატის დედნის ნამდვილობა იმ ეროვნული ფედერაციიდან ან/და კლუბიდან, რომელსაც მორაგბე ტოვებს.
5. სრკ არ გასცემს საერთაშორისო სატრანსფერო სერთიფიკატს თუ მორაგბის კლუბიდან (გუნდიდან) კლუბში გადასვლა ხდება მოქმედი კონტრაქტის პერიოდში და კლუბსა და მორაგბეს შორის კონტრაქტის ვადამდე გაწყვეტის შესახებ ორმხრივი შეთანხმება ვერ მოხერხდა.
6. საერთაშორისო სერთიფიკატის გაცემამდე, მორაგბეს არ შეუძლია ითამაშოს ახალ კლუბში.
7. საერთაშორისო სერთიფიკატის გაცემაზე მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ იმ კლუბის ეროვნულ ფედერაციას ან/და კლუბს, რომელშიც თამაშის სურვილი აქვს მორაგბეს. საერთაშორისო სერთიფიკატის (ლიცენზიის) გაცემის შემდეგ მორაგბე არ შეიძლება შეყვანილ იყოს შიდა ჩემპიონატში მონაწილე გუნდის განაცხადში, თუ საერთაშორისო სერთიფიკატს (ლიცენზიას) ან მის საფუძველზე დადებულ სატრანსფერო ხელშეკრულებას არ გაუვიდა ვადა ან არ იქნა მისი მოქმედება დადგენილი წესით ვადამდე შეწყვეტილი.  
კლუბიდან კლუბში გადასვლა (განათხოვრებულის დაბრუნება) დაიშვება მხოლოდ სატრანსფერო პერიოდში.
8. სრკ საერთაშორისო სატრანსფერო სერთიფიკატს გასცემს ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზავნება მორაგბის გადასვლის მომთხოვნ ეროვნულ ფედერაციას ან კლუბს, ხოლო მეორე რჩება სრკ-ში.
9. სრკ სხვა ეროვნული ფედერაციის მოთხოვნის საფუძველზე საერთაშორისო სატრანსფერო სერთიფიკატის გაცემისას, ვალდებულია დანართში მიუთითოს, დისკვალიფიცირებულია თუ არა

მორაგბე მოთხოვნის მომენტში და რა ვადით, ხოლო ამავე სახით საერთაშორისო სატრანსფერო სერტიფიკატის მიღებისას, სრკ ვალდებულია დაიცვას მორაგბეზე დადებული დისციპლინარული სანქციების დარჩენილი ნაწილი და წერილობითი ფორმით დაუდასტუროს ყოფილ ეროვნულ ფედერაციას ამ პირობის შესრულების შესახებ.

10. თუ კლუბი, რომელმაც მოამზადა მორაგბე, არ განაცხადებს თავის უფლებას კომპენსაციაზე, მაშინ კომპენსაცია გადაიხდება სრკ-ს სასარგებლოდ.

11. პროფესიონალი მორაგბის საერთაშორისო ტრანსფერის პირობები დგინდება ორივე კლუბსა და მორაგბეს შორის სამხრევი წერილობითი ხელშეკრულებით, რომლის დამოწმებული ასლი უნდა იქნას წარმოდგენილი სრკ-ში ხელშეკრულების დადებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში. სრკ-ში ასევე უნდა მოხდეს მორაგბის კლუბიდან გათავისუფლების ცნობის წარმოდგენა.

12. განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით გამგეობას უფლება აქვს საქართველოს შიდა ჩემპიონატის განაცხადში შესულ მორაგბეს მისცეს საერთაშორისო სერტიფიკატი (ლიცენზია), (რაც მორაგბის მიერ გამოყენებული იქნება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით) ისე, რომ ლიცენზიის ვადის გასვლისა და მორაგბის უკან დაბრუნების შემდეგ, მორაგბეს უფლება ქონდეს თამაში გააგრძელოს იმ კლუბში, რომლის განაცხადშიც იყო შეყვანილი სეზონის დასაწყისში და არ დაელოდოს სატრანსფერო პერიოდს.

13. ეროვნული ნაკრებების განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, სრკ-ს აქვს უფლება უარი განაცხადოს მოთამაშის უცხო ქვეყნის კლუბში გადასვლაზე და საერთაშორისო სატრანსფერო სერტიფიკატის გაცემაზე, თუკი მოთამაშე არის გაფართოვებულ სანაკრებო შემადგენლობაში (დიდი, U18, U20, შვიდკაცა და „A“ ნაკრებები) და შერჩეული უცხო კლუბი/ქვეყანა, სადაც სურს გადასვლა მოთამაშეს ვერ აკმაყოფილებს სარაგბო განვითარების მაღალ სტანდარტს და ვერ უზრუნველყოფს მორაგბის განვითარებას.

#### **მუხლი 10. მორაგბის შეჯიბრზე დაშვება**

1. სრკ-ს ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში დაიშვება მხოლოდ საქართველოს რაგბის კავშირში რეგისტრირებული მორაგბეები, რომლებიც შეყვანილი არიან რაგბის კლუბებისა და სკოლების მიერ საშეჯიბრო განაცხადებში.

2. შეჯიბრებებში დაშვების უფლება მიეცემათ მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მორაგბის ყველა გადაადგილება სრკ-ს ფარგლებში ხდება წინამდებარე დებულების შესაბამისად;

ბ) თუ მორაგბე სრკ-ში გადმოვიდა სხვა ეროვნული ფედერაციის კლუბიდან წინამდებარე დებულების შესაბამისად და მასზე მიღებულია საერთაშორისო სატრანსფერო სერტიფიკატი;

გ) თუ მორაგბეზე არ მოქმედებს სრკ-ს ან/და სხვა ეროვნული ფედერაციის მიერ დადებული სპორტული სანქციები.

#### **მუხლი 11. მორაგბის თამაშებში მონაწილეობის, მომზადებისა და განვითარების**

**კომპენსაცია**

1. თუ მოყვარული მორაგბე, რომელიც მშობლიური კლუბიდან გადავა სხვა კლუბში სათამაშოდ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბოლო ერთი სპორტული სეზონის კომპენსაცია მრავლდება:

**ა) მოთამაშის კვალიფიკაციის კოეფიციენტზე**

nakrebi	U17-U18	U19	U20-21	erovnuli, 7 kaca da ~a~ nakrebi
koeficienti	1,25	1,50	1,50	1.50

**ბ) გუნდში აქტიურობის კოეფიციენტზე**

0-25%	25-50%	50-75%	75-100%
1	1.25	1.50	2

1) გუნდში აქტიურობის კოეფიციენტი გამოითვლება ბოლო სეზონის აქტიურობის მიხედვით.

2. მოყვარული მორაგბის თამაშებში მონაწილეობის, მომზადებისა და განვითარების კომპენსაციის გადახდა ხდება შემდეგ შემთხვევაში:

ა) წერილობითი ხელშეკრულების მქონე მორაგბის გადასვლისას მშობლიური კლუბიდან (გუნდიდან) სხვა კლუბში (გუნდში).

3. კოეფიციენტი სხვადასხვა კატეგორიის ნაკრების წევრობაზე მოთამაშეს ეძლევა იმ შემთხვევაში თუ იგი ნაკრების ოფიციალურ ან ტესტ მატჩის განაცხადში იყო შეყვანილი. აღნიშნული კოეფიციენტი მოთამაშეზე ვრცელდება მხოლოდ მიმდინარე ან/და ბოლო სათამაშო სეზონზე.

4. თუ კონტრაქტის მოქმედების პერიოდში ყველა მხარე (მორაგბე, კლუბი, რომელსაც მორაგბე ტოვებს და კლუბი, რომელშიც ის გადადის) შეთანხმდა მორაგბის გადასვლაზე, მაშინ კომპენსაციის რაოდენობა განისაზღვრება მხარეთა შორის გაფორმებული სამხრივი სატრანსფერო კონტრაქტის შესაბამისად წინამდებარე დებულების საფუძველზე.

5. კლუბი და მორაგბე უფლებამოსილია მათ შორის დადებულ წერილობით ან შრომის ხელშეკრულებაში შეიტანონ დებულებები, რომლის მიხედვითაც რაგბის კლუბი უარს იტყვის მორაგბის მომზადების კომპენსაციის უფლებაზე შრომის ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ და მორაგბის სხვა კლუბში გადასვლისას. აღნიშნული პირობა აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი შესაბამის სატრანსფერო კონტრაქტში.

6. მორაგბის საკომპენსაციო თანხა ექვემდებარება გადახდას ახალი კლუბის მიერ მორაგბესთან კონტრაქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან სხვა ვადაზე.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევისას სრკ-ს უფლებამოსილია დამრღვევი კლუბის მიმართ გამოიყენოს შესაბამისი სანქციები.

8. თუ ორივე კლუბი ვერ შეძლებს მორაგბის ტრანსფერისას კომპენსაციის გადახდის რაოდენობის საკითხის დარეგულირებას, მაშინ კლუბის მიერ მიწოდებული დაკუმენტაციის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს სრკ, რომლის შესრულებაც სავალდებულოა კლუბებისათვის.

9. იმ შემთხვევაში, თუ კავშირის მიერ მე-8 პუნქტით დადგენილი ინფორმაციის მოთხოვნის მიუხედავად, კლუბი დაუყოვნებლივ არ წარმოადგენს აუცილებელ დოკუმენტებს, მაშინ სრკ-ს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება და კომპენსაციის რაოდენობა განსაზღვროს ასაკობრივი კოეფიციენტის ჩათვლელად.

10. სრკ-ის მიერ განსაზღვრული კომპენსაციის თანხა გადარიცხულ უნდა იქნას იმ კლუბის მიერ, რომელმაც მიიღო მორაგბე, გადაწყვეტილების მხარეთათვის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში. გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან არადროული შესრულების შემთხვევაში სრკ უფლებამოსილია გამოიყენოს სანქციები.

11. თუ კლუბი, რომელმაც მოამზადა მორაგბე, არ განაცხადებს თავის უფლებას კომპენსაციაზე, მაშინ კომპენსაცია გადაიხდება სრკ-ს სასარგებლოდ.

12. მორაგბის მართლზომიერი გადასვლისას და ახალ კლუბთან შრომის ხელშეკრულების გაფორმებისას, ორ კლუბს შორის კომპენსაციის და გადახდის ვადის თაობაზე მიმდინარე უთანხმოებამ არ შეიძლება იქონიოს გავლენა მორაგბის სპორტულ და პროფესიულ მოღვაწეობაზე.

13. იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღების უფლება წარმოეშვა ორ და მეტ კლუბს, მაშინ მორაგბის მიმღები კლუბის მიერ კომპენსაციის თანხა ეძლევა ყველა კლუბს თანაბარწილად.

14. წინამდებარე დებულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ანგარიშსწორება კლუბებს (გუნდებს) შორის, ასევე კლუბსა (გუნდსა) და სპორტულ სკოლას შორის უნდა განხორციელდეს მხოლოდ მათი ანგარიშსწორების ანგარიშზე. ფულადი სახსრების გადაგზავნა სხვა ორგანიზაციების ანგარიშსწორების ანგარიშზე დაუშვებელია.

15. კლუბის (გუნდის) დაშლის შემთხვევაში კლუბში არსებული კონტრაქტიანი ან უკონტრაქტო მოთამაშეები არ ექვემდებარებიან კომპენსაციას.

## **მუხლი 12. სტატუსის მინიჭება, სანქციები და დავების განხილვა**

1. მორაგბეთა სტატუსის განსაზღვრა ხდება ამ დებულებით დადგენილი წესით სრკ-ის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

2. კლუბების სტატუსი დგინდება სრკ-ის წესდებით განსაზღვრული წესით სრკ-ის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

3. ამ დებულების მოთხოვნათა დარღვევისას კლუბის ან/და მორაგბის მიმართ გამოიყენება შემდეგი სანქციები:

ა) წერილობითი შენიშვნა და შესაბამისი გაფრთხილება დებულების მოთხოვნათა შესრულებისათვის ვადის მიცემის შესახებ. ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 და არაუმეტეს 30 კალენდარულ დღეს.

ბ) ფულადი ჯარიმა. კლუბის მიმართ ამ სანქციის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ წერილობითი შენიშვნისა და გაფრთხილების შემდეგ.

გ) მორაგბის ვადიანი ან უვადო დისკვალიფიკაცია;

დ) გუნდისთვის შეჯიბრებაში საჯარიმო ქულების დარიცხვა;

ე) გუნდის დაქვეითება რანგით უფრო დაბალ ლიგაში;

4. კლუბის და მორაგბის მიმართ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სანქციებიდან გამოიყენება ერთ-ერთი ყოველ შემთხვევაზე, გარდა ~~ და ~ბ~ ქვეპუნქტებისა.

5. სანქციების დაწესებას ახორციელებს სრკ-ის უფლებამოსილი ორგანო ან სრკ-ის პრეზიდენტი.

6. წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ ურთიერთობებზე დავების განხილვა წარმოებს სრკ-ის მიერ, ხოლო ყოველი უთანხმოება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერებთან მათ შორის სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებები შესაძლოა გასაჩივრდეს დავების განხილველ კომისიაში პრეტენზიის წარმოშობის საფუძვლიდან 10 დღის ვადაში დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენით.

### **მუხლი 13. გარდამავალი დებულებები**

1. მხარეთა მიერ ხელმოწერილი სატრანსფერო კონტრაქტის სამართლებრივი სტატუსი არ შეიძლება იყოს დამოკიდებული სამედიცინო შემოწმების შედეგზე და სხვა რაიმე გარემოებებზე.

2. კლუბი, რომელიც სთავაზობს მორაგბეს მის კლუბში გადასვლას, სატრანსფერო კონტრაქტის დადებისათვის ვალდებულია განახორციელოს ყველა აუცილებელი ღონისძიება. მათ შორის: შეისწავლოს სატრანსფერო კონტრაქტის დასადებად საჭირო დოკუმენტი, განსაზღვროს შრომის პირობები, ჩაუტაროს მორაგბეს ტესტირება და სამედიცინო შემოწმება და ა.შ.

3. მორაგბეთა ინტერესების წარმოდგენა კლუბებსა და სხვა ორგანიზაციებთან შეუძლიათ მხოლოდ იმ აგენტებს, რომლებსაც აქვთ სრკ-ს შესაბამისი მოწმობა, აგრეთვე პირებს, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. თუ სატრანსფერო კონტრაქტის დადებისას გამოყენებულ იქნა ტესტირებული აგენტის მომსახურება, მაშინ შესაბამის სატრანსფერო სერტიფიკატში მიეთითება მისი გვარი.

5. 16 წელზე უმცროსი ასაკის მორაგბეებს რეგისტრირებული საერთაშორისო სატრანსფერო სერტიფიკატი არ ესაჭიროებათ.

6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ იმავე წესითა და ფორმით, რა წესითაც არის მიღებულია წინამდებარე დებულება.